



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000008898324319

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 10

06 / მარტი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დუისის კულტურის სახლის I და II-სართულზე არსებული 341.7 კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის დ. ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს ა(ა)იპ - „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დუისის კულტურის სახლის I და II-სართულზე არსებული 341.7 კვ.მ. (მათ შორის დარბაზი საერთო სარგებლობით) არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი: 50.06.33.073.
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური - 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

